ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2019 წლის 8 ივლისის სხდომის

ოქმი № 4

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 21.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში
   მომხს: თ. დოლბაია
3. ცვლილება ბაკალავრიატის სტუდენტთა სტიპენდიების გაცემის საფაკულტეტო წესში

   მომხს: თ. დოლბაია
4. 2019-2020 სასწავლო წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გადასახადის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დამატებითი სემესტრის სწავლის გადასახადის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე შემოტანილი "კვლევის მეთოდების" ახალი სასწავლო კურსის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
7. ცვლილება "საფაკულტეტო სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში" ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის პროგრამის სტუდენტთათვის
   მომხს: თ. დოლბაია
8. სამაგისტრო პროგრამა " გენდერის კვლევის" ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია

9. პროფესორთა და მოწვეულ პედაგოგთა 2018 წლის თვითშეფასების კითხვარის შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

10. დოქტორანტ დავით სიდამონიძის სადისერტაციო თემის დაზუსტების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

11. დოქტორანტ მარინე ქევხიშვილის ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

12. დოქტორანტ მირანდა მუსელიანის ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

13. დოქტორანტ გერმანე გვარამიას ხელმძღვანელის დამატების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

14. დოქტორანტ თამარ ხოშტარიას სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების, დაცვის კომისიის შემადგენლობისა და დაცვის თარიღის დამტკიცება

მომხს: თ. მატარაძე

15. დოქტორანტ ანა წითლიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების, დაცვის კომისიის შემადგენლობისა და დაცვის თარიღის დამტკიცება.

მომხს: თ. მატარაძე

16. მიმდინარე საკითხები:
    1) პროგრამების აკრედიტაციისთვის მზადება
    2) ელექტრონულ ჟურნალებზე გადასვლა
    3) ხელფასში სამეცნიერო აქტივობის წილის განსაზღვრის შესახებ
    4) პირველსემესტრელთა ინგლისურის ჯგუფების დაკომპლექტების შესახებ

მოისმინეს: 1. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, მ. მაცაბერიძემ, ნ. ბელქანიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა ფაკულტეტის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ვ. მელიქიძემ, ა. კუხიანიძემ, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა ისაუბრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში სტიპენდიების მინიჭების საფაკულტეტო წესში ცვლილების შესახებ

აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, თ. მატარაძემ, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში სტიპენდიების მინიჭების საფაკულტეტო წესის შენიშვნა №1 –ში, რომელიც უნდა იკითხებოდეს ასე:

“შენიშვნა 1: წინა სემესტრის პერიოდი აითვლება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან, მომდევნო სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებამდე”.

მოისმინეს: 4. 2019-2020 სასწავლო წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გადასახადის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, ნ. ბელქანიამ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: 2019-2020 სასწავლო წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გადასახადი დადგინდეს სემესტრში 500 ლარის ოდენობით

მოისმინეს: 5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დამატებითი სემესტრის სწავლის გადასახადის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, მ. შამილიშვილმა, ა. კუხიანიძემ, ნ. ბელქანიამ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დამატებითი სემესტრის სწავლის გადასახადი, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 750 ლარისა, გახდეს სემესტრში 500 ლარი.

მოისმინეს: 6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში შემოტანილი ახალი საგნის, “კვლევის მეთოდების”, შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, მ. შამილიშვილმა, თ. მატარაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, ნ. ბელქანიამ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019-2020 წელს ჩარიცხულთათვის სავალდებულო საგნად დამტკიცდეს “კვლევის მეთოდები”, რომელიც ასევე სავალდებულო იქნება წინა წლებში ჩარიცხულ იმ

დოქტორანტებისთვის, რომელთაც არც ერთი კოლოკვიუმი/სამეცნიერო კვლევითი პროექტი არ აქვთ დაცული

მოისმინეს: 7. "საფაკულტეტო სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში" ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის პროგრამის სტუდენტთათვის ცვლილების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, ვ. მელიქიძემ, ნ. ტალახაძემ და სხვ.

დაადგინეს: საფაკულტეტო სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის სტუდენტთათვის ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებში მოხდეს ცვლილება და ერთ-ერთ კომპონენტად დაემატოს რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა. ამდენად, ნაცვლად 60-ისა, კომისიის შეფასება გახდება 30 ქულა და შემდეგ როგორც ტექსტშია.

მოისმინეს: 8. სამაგისტრო პროგრამა "გენდერის კვლევის" ხელმძღვანელის დანიშვნის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა. მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს თ. საბედაშვილს დაუსრულდა შრომითი ხელშეკრულება და პროგრამას სჭირდება გაძღოლა

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, გ. გოგსაძემ, მ. შამილიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამა "გენდერის კვლევის" ხელმძღვანელად დაინიშნოს ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე

მოისმინეს: 9. პროფესორთა და მოწვეულ პედაგოგთა 2018 წლის თვითშეფასების კითხვარის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა და დამსწრეთ შეახსენა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N78/2018 და N81/2018 დადგენილებებით დამტკიცდა უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი და უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი და თვითშეფასების კითხვარი, სწორედ ამ დადგენილების დანართია

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, რ. ჯორბენაძემ, თ. მატარაძემ და სხვ.

დაადგინეს: შეფასდეს დადებითად მხოლოდ იმ პროფესორთა და მოწვეულ პედაგოგთა საქმიანობა 2018 წლის თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, რომლებმაც წარმოადგინეს მასალები გაწეული მუშაობის შესახებ

მოისმინეს: 10. დოქტორანტ დავით სიდამონიძის სადისერტაციო თემის დაზუსტების შესახებ ისაუბრა მისმა ხელმძღვანელმა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. პავლიაშვილმა, ვ. მელიქიძემ და სხვ.

დაადგინეს: დაზუსტდეს დოქტორანტ დავით სიდამონიძის სადისერტაციო თემის სათაური შემდეგნაირად: "საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის ფუნქციონირებისა და განვითარების გეოგრაფიული კანონზომიერებები"

მოისმინეს: 11. დოქტორანტ მარინე ქევხიშვილის განცხადება ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, თ. მატარაძემ, ს. დუნდუამ და სხვ.

დაადგინეს: როის ჯეფერსონ ჯორჯი გათავისუფლდეს დოქტორანტ მ. ქევხიშვილის ხელმძღვანელობიდან

მოისმინეს: 12. დოქტორანტ მირანდა მუსელიანის განცხადება ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ დამსწრეთ წარუდგინა ფაკულტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ვ. მელიქიძემ, თ. მატარაძემ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ მირანდა მუსელიანის ხელმძღვანელად, ნაცვლად ზ. აბაშიძისა, დამტკიცდეს რ. ჯორბენაძე

მოისმინეს: 13. დოქტორანტ გერმანე გვარამიას განცხადება ხელმძღვანელის დამატების შესახებ სხდომას წარუდგინა ფაკულტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ვ. მელიქიძემ, თ. მატარაძემ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ გერმანე გვარამიას ერთ-ერთ ხელმძღვანელად დამტკიცდეს რ. ჯორბენაძე

მოისმინეს: 14. სოციოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის, თამარ ხოშტარიას სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების , დაცვის კომისიის შემადგენლობის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ ისაუბრა დეკანის მოადგილე, თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის, თამარ ხოშტარიას რეცენზენტთა და დაცვის კომისიის შემადგენლობები და დაცვის თარიღი

დოქტორანტი: თამარ ხოშტარია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი, პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „ახალგაზრდების ღირებულებები და მათი განსხვავება უფროსი თაობების ღირებულებებისგან საქართველოში“

დაცვის თარიღი: 8 ნოემბერი, 2019 წელი, 17:00 სთ.

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები:

1. ნინო დურგლიშვილი - ფილოსოფიის დოქტორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. პუბლიკაცია:
   Durglishvili Nino. 2017. „Labour market perspectives for the university graduates in Georgia.“ International Economics Letters, ISSN: 1805-7306; Doi: 10.249884/iel.2017.6.1.

2. ფლორა ესებუა - სოციოლოგიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი. პუბლიკაცია:
ლია წულაძე, ფლორა ესებუა, ირაკლი კახიძე ანა კვინტრაძე, ირინა ოსეფაშვილი, მარიამ ამაშუკელი. 2016. ევროპეიზაციის პერფორმანსი - პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი: თბილისი
3. ატილა მელეგი - ისტორიის დოქტორი, ბუდაპეშტის კონვინუსის უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური პოლიტიკის ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი, მთავარი მრჩეველი. პუბლიკაცია:
Melegh, Attila, 2006. On the East/West Slope. Globalization, Nationalism, Racism and Discourses on Central and Eastern Europe, New York-Budapest: CEU Press

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. ლია წულაძე - სოციოლოგიის დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. პუბლიკაცია:
Tsuladze Lia. 2017. On Europeanisation, National Sentiments and Confused Identities in Georgia. Communist and PostCommunist Studies, 50 (2), 125-133.
2. მარინა ბურძენიძე - სოციოლოგიის დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. პუბლიკაცია:
ბურძენიძე, მ. და მატარაძე, თ. 2015. დანაშაულის, პატიმრებისა და მათი სოციალური სტატუსის აღქმა თბილისის მაცხოვრებლების მიერ. სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა. თბილისი: თსუ გამომცემლობა
3. ლელა გაფრინდაშვილი - ფილოსოფიის დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. პუბლიკაცია:
გაფრინდაშვილი, ლელა. 2011. ქართული განმანათლებლობა: ევროპის კვალდაკვალ და იმპერიის მარწუხებში. წიგნში "დემოკრატიული ღირებულებების ნაკვალევზე საქართველოში", OSGF, (კონცეფციის ავტორი და რედაქტორი ლელა გაფრინდაშვილი), გვ: 48-113, თბილისი
4. დონაძე ნათელა - სოციოლოგიის დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. პუბლიკაცია:
დონაძე, ნათელა. 2014. თანამედროვე ქართული სოციალური ინსტიტუტები სტუდენტურ ფოკუსში. ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი
5. ნანა სუმბაძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი. პუბლიკაცია:

ნანა სუმბაძე. 2013. სამოქალაქო ჩართულობის დეტერმინანტები და შედეგები. კავკასიის შვეიცარიული აკადემიურ ქსელი & საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი. თბილისი

6. ლალი სურმანიძე - ფილოსოფიის დოქტორი, **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტ**ის პროფესორი. პუბლიკაცია:
*სურმანიძე, ლალი. 2001. **ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური** საზოგადოებები. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი: თბილისი*

7. *გიორგი (გაგა) ნიჟარაძე - ფსიქოლოგიის დოქტორი,* თავისუფალი უნივერსიტეტის სრული პროფესორი. პუბლიაცია:
George Nizharadze. 2016. Individual and culture-level components of survey response styles: A multi-level analysis using cultural models of selfhood. International Journal of Psychology, 2016 Vol. 51, No. 6, 453–463, DOI: 10.1002/ijop.12293

მოისმინეს: 14. სოციოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის, ანა წითლიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების , დაცვის კომისიის შემადგენლობის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ ისაუბრა თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: ა. კუხიანიძემ, ვ. მელიქიძემ, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის, ანა წითლიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტთა და დაცვის კომისიის შემადგენლობები და დაცვის თარიღი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე კუხიანიძე, პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის სათაური: "პოლიტიკური დეცენტრალიზაცია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომპონენტი და ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება"

დაცვის თარიღი: 4 ოქტომბერი, 2019 წელი, 16:00

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები:

1. **ალექსანდრე სვანიშვილი -** სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. პუბლიკაცია:

Svanishvili, Alexander. 2016. The Local Self-Government Code of Georgia, the issue of self-organization and the concept of self-government according to the European Charter of Local SelfGovernment. Journal of Politics and Democratization, 1(1): 1-7

2. **დავით ლოსაბერიძე** - ისტორიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი. პუბლიკაცია:

ლოსაბერიძე, დ. (2016). ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა საქართველოში 2013-2014. გვ. 50-70. თბილისი: სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

3. **ივეტა რეინჰოლდი (Iveta Reinholde)** - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ლატვიის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელი. პუბლიკაცია:

Šaparniene, D., Meškyte, A., Reinholde, I. 2017. Tendencies of improvement of local self-government in political parties' programmes and their implementation. Scientific Papers of the University of Pardubice, Series D: Faculty of Economics and Administration 24(40), pp. 210-221

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. **მალხაზ მაცაბერიძე** - ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი. პუბლიკაცია:

მაცაბერიძე, მალხაზ. 2018. საქართველოს პოლიტიკური სისტემა. სახელმძღვანელო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: თბილისი

2. **სალომე დუნდუა** - პოლიტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. პუბლიკაცია:

Dundua S., Abashidze Z., Qaraia T., 2017. "National Narration and Politics of Memory in post-socialist Georgia." Slovak Journal of Political Sciences, Volume 17 (2), pp.222-240

3. **ზვიად აბაშიძე** - პოლიტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. პუბლიკაცია:

Dundua S., Abashidze Z., Qaraia T., 2017. "National Narration and Politics of Memory in post-socialist Georgia." Slovak Journal of Political Sciences, Volume 17 (2), pp.222-240

4. **ავთანდილ ტუკვაძე** - პოლიტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. პუბლიკაცია:

Туквадзе А.А, Убилава И.Д. 2017. Лидер в грузинской политике. Вестник Российского университета дружбы народов. Серия: Политология Volume 19,№1)

5. **თამარ ქარაია** - პოლიტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასისტენტ პროფესორი. პუბლიკაცია:

Karaia, Tamar. 2017. Rethinking of Past and Politics of Memory in Contemporary Georgia. Central European Political Studies. 2017. #4

6. **ვალერიან დოლიძე** - ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასისტენტ პროფესორი. პუბლიკაცია:

დოლიძე, ვალერიან. 2017. ლიდერის ფაქტორი და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში. პოლიტიკა 4 (1)

7. **გიორგი მელიქიძე** - პოლიტიკის დოქტორი, პოლიტიკის მეცნიერების ინსტიტუტის (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) უმცროსი მკვლევარი. პუბლიკაცია:

გიორგი მელიქიძე. 2016. საარჩევნო აქროლადობა საქართველოში: პარტიული სისტემის სტაბილურობის თვისებრივი ანალიზი. კრებულში: საქართველო და მოლდოვა: დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გამოცდილება. თბილისი

მოისმინეს: 14. სხდომაზე განიხილეს მიმდინარე საკითხები და მიიღეს ცნობად

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ.შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

8 თებერვალი, 2019

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. სალომე დუნდუა
12. ზვიად აბაშიძე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე

20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. მარიამ ბერიანიძე
27. ალექსანდრე გაბაშვილი
28. გიორგი გოგოლაძე
29. ნინო გოლიაძე
30. თორნიკე კობახიძე
31. შალვა ლაშხია
32. ანი სარალიძე
33. რატი ხითარიძე
34. ელენე ბებერაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

თამარ დოლბაიას

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის

რევაზ ჯორბენაძის

მიმართვა

ქალბატონო თამარ,

წარმოგიდგენთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N4, 8 ივლისი, 2019 წელი) დამტკიცებულ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებს.
კერძოდ:

საბაკალავრო პროგრამები:

საბაკალავრო საფაკულტეტო (საბაზისო) კურსები:

1. **საგნის ამოღება:**

   „გამოცდილებითი სწავლა/სწავლების მეთოდები“.

2. **სილაბუსისგანახლება:**

   „აკადემიური წერა“.

საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 34)

1. **სტატუსის შეცვლა:** „ბეჭდური მედია - პრაქტიკუმი“ - ლექტორი მაია ტორაძე, სავალდებულო საგნის ნაცვლად გახდა არჩევითი.
2. **საგნის სახელწოდების ცვლილება და თემების დამატება:** „ტელეჟურნალისტიკის შემოქმედებითი მეთოდების“ ნაცვლად საგანს ეწოდა „ჟურნალისტიკის შემოქმედებითი მეთოდები“ - ლექტორი ე. იბერი,
3. **სასწავლო კურსებში თემების და ლიტერატურის დამატება**: „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (ტელე-რადიო)“, „მასობრივი კომუნიკაციის სისტემა“, „მაუწყებლობის პროგრამირება“ - სამივე საგნის ავტორია ე. იბერი. „რადიომედია“- ავტორი ნ.ტალახაძე.
4. **ლექტორის დამატება:** „ტელემედია“(პრაქტიკუმი) - ლექტორებს რ. ჭიჭინაძეს, დ.ქაშიაშვილს და თ. ბელქანიას დაემატა ასოცირებული პროფესორი ხათუნა კაჭარავა.
5. **სემესტრის ცვლილება:** „ეკონომიკა ჟურნალისტებისათვის“ - გაზაფხულის სემესტრის ნაცვლად გადავა შემოდგომის სემესტრში.
6. **ახალისაგნისდამატება:** „სოციალური დაცვის პოლიტიკა და ისტორია“ - არჩევითი, ასისტენტ პროფესორი ჯაბა ურუტაძე.

საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (ქართული-რუსულენოვანი კომპონენტებით) (დადგენილებაN97/2018, დანართი N 35)

1. **ლექტორის დამატება** - „დოკუმენტალური კინო, როგორც მასკომუნიკაციის საშუალება“ - დაემატა მოწვეული ლექტორი თამთა თურმანიძე.

საბაკალავრო პროგრამა „სოციალური მუშაობა“ (დადგენილება #57/2011, დანართი 38)

1. **ლექტორის ცვლილება:** „მზრუნველობას მოკლებული მოზარდების რისკები რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ადიქციურ ქცევასთან მიმართებაში“ - ა.რეხვიაშვილის ნაცვლად წაიკითხავს ასოცირებული პროფესორი თ.ვერულავა.
2. **კურსების მოდიფიკაცია, კერძოდ შეფასების სისტემა შეიცვალა შემდეგ კურსებში:** - “ჯანდაცვის პოლიტიკის საფუძვლები” (ლექტორი თ. ვერულავა) - არსებული შეფასების სისტემა (შუალედური გამოცდა - 20 ქულა; ქეისის ანალიზი, პრეზენტაცია - 20 ქულა; ქეისის

ანალიზი, პრეზენტაცია (ან კვლევითი პროექტი) - 20 ქულა; ფინალური გამოცდა - 40 ქულა) შეიცვალა და წარმოდგენილია შემდეგი სახით: აქტივობა/დისკუსია - 10 ქულა; რეფერატი, პრეზენტაცია - 25 ქულა; შუალედური გამოცდა - 30 ქულა, საბოლოო გამოცდა - 35 ქულა.

"უმცირესობათა პერსპექტივა" (ლექტორი თ. ვერულავა) - არსებული შეფასების სისტემა (დასწრება/აქტივობა 10 ქულა; პრეზენტაცია 25 ქულა; შუალედური გამოცდა 25 ქულა; დასკვნითი გამოცდა 40 ქულა) შეიცვალა და წარმოდგენილია შემდეგი სახით: აქტივობა/დისკუსია - 10 ქულა; რეფერატი, პრეზენტაცია - 25 ქულა; შუალედური გამოცდა - 30 ქულა, საბოლოო გამოცდა - 35 ქულა.

"მზრუნველობას მოკლებული მოზარდების რისკები რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ადიქციურ ქცევასთან მიმართებაში" (ლექტორი თ. ვერულავა) - არსებული შეფასების სისტემა (დასწრება – 5 ქულა; პირველი შუალედური გამოცდა - 30 ქულა; მეორე შუალედური გამოცდა – 30 ქულა; საბოლოო გამოცდა – 35 ქულა) შეიცვალა და წარმოდგენილია შემდეგი სახით: აქტივობა/დისკუსია - 10 ქულა; რეფერატი, პრეზენტაცია - 25 ქულა; შუალედური გამოცდა - 30 ქულა, საბოლოო გამოცდა - 35 ქულა.

საბაკალავრო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია" (დადგენილება #57/2011, დანართი 40)

1. **ახალი საგნის დამატება:** „ენების და რელიგიების გეოგრაფია" - სტენლი ბრიუნი, მოწვეული ლექტორი, კენტუკის უნივერსიტეტის ემერეტუს პროფესორი (15/15)არჩევითი.
2. **სემესტრის ცვლილება:** „მიგრაციის კვლევები" - გაზაფხულის სემესტრის ნაცვლად გადადის შემოდგომის სემესტრში.(ერთჯერადი ცვლილება).

საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები" (დადგენილება #57, 2011, დანართი 41)

1. **სილაბუსის განახლება, ლექტორთა დამატება და ცვლილებები:**
   „საერთაშორისო ეკონომიკა" სერგი კაპანაძის ნაცვლად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი ლევან ნატროშვილი.
   „საერთაშორისო ორგანიზაციები" - ეკა აკობიას ნაცვლად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი მარიამ გრიგალაშვილი.

„საერთაშორისო ტერორიზმი“ - წაიკითხავს მოწვეული ლექტორი გიორგი გოგუაძე.
„ომების ისტორია და თეორია“ - სოფო პეტრიაშვილის ნაცვლად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი გიორგი ლეკვეიშვილი.
„ინგლისური ენა 5(სპეციალური კურსი) და ინგლისური ენა 6(სპეციალური კურსი) - წაიკითხავენ თამარ ურუშაძე, ალექსი იასაშვილი და იუჯინ სლონიმეროვი.
„ინგლისური ენა 3(სპეციალური კურსი) და ინგლისური ენა 4(სპეციალური კურსი) - მოწვეული ლექტორი ნინო ტაბეშაძე.

2. **ახალი კურსის დამატება:** „ეკონომიკის პრინციპები“ - სავალდებულო, მოწვეული ლექტორი ლევან ნატროშვილი (გაზაფხულის სემესტრი);

3. **სემესტრის ცვლილება:**
„ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა“ - გაზაფხულის ნაცვლად გამოდის შემოდგომის სემესტრში;
„ეთნოსთაშორისო ურთიერთობების დინამიკა და კონფლიქტები კავკასიაში(პოსტ-საბჭოთა პერიოდი) - გაზაფხულის ნაცვლად გამოდის შემოდგომის სემესტრში;
„კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ - მე-3 და მე-4 სემესტრის ნაცვლად გაიხსნება მე-5 და მე-6 სემესტრებში;
„საერთაშორისო ურთიერთობის თეორიები“ - მე-5, 6, 7 და მე-8სემესტრის ნაცვლად გაიხსნება მე-3 და მე-4 სემესტრებში;

საგანმანათლებლო პროგრამა „სოციოლოგია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 37)

1. **ლექტორის დამატება:** „სოციოლოგიის შესავალი“ - საგნის ლექტორად დაემატა ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე.

სამაგისტრო პროგრამები:

სამაგისტრო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ (დადგენილება #57/2011, დანართი 256):

1. **სტატუსის შეცვლა:** „სამხედრო პოლიტოლოგია“- სავალდებულოს ნაცვლად გახდა არჩევითი, ხოლო „ საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ არჩევითის ნაცვლად გახდა სავალდებულო, (საგანი სავალდებულოა 2019-2020 სასწავლო წელს ჩარიცხული მაგისტრანტებისათვის). ლექტორი ვ.მაისაია.

სამაგისტრო პროგრამა „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“ (დადგენილება #57/2011, , დანართი 56).

1. **სტატუსის შეცვლა:** „საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ - სავალდებულოს ნაცვლად გახდა არჩევითი; „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკა“: - არჩევითის ნაცვლად გახდა სავალდებულო.

სამაგისტრო პროგრამა „კულტურისა და მედიის სოციოლოგია“ (დადგენილება 113/2014 , დანართი 251)

1. **კურსის სახელწოდების და ახალი სილაბუსის შექმნა:** „თვისებრივი კვლევის მეთოდების“ ნაცვლად დაემატა სავალდებულო საგნები„თვისებრივი კვლევის მეთოდები 1“ (15/15) და „თვისებრივი კვლევის მეთოდები 2“ (15/15).- ლექტორი ლია წულაძე. გადანაწილდება ორ სემესტრში.

2. **სტატუსის შეცვლა:** „ეროვნული იდენტობა და ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში“ სავალდებულოს ნაცვლად გახდა არჩევითი, (15/15).

სამაგისტრო პროგრამა „მედია და ახალი ტექნოლოგიები“(დადგენილება #57/2011, დანართი 46)

1. **ლექტორთა ცვლილება:** დ.ოსეფაშვილის და ლ.ტუღუშის ნაცვლად წაიკითხავს ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე.

   „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“ - დ.ოსეფაშვილის ნაცვლად წაიკითხავს ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე, ხოლო სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს ასოცირებული პროფესორი თამარ ბელქანია.

   „რადიოგადაცემის მომზადება“ - მ.ვაშაყმაძის ნაცვლად წაიკითხავს ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე.

   „მულტიმედიაჟურნალისტიკა“ - ე.ფირცხალავას ნაცვლად წაიკითხავს ასისტენტ პროფესორი თეა მჟავანაძე.

   „მედია და ინოვაციები“ - ე.ფირცხალავას ნაცვლად წაიკითხავს ასოცირებული პროფესორი რევაზ ჭიჭინაძე.

   „ვიზუალური კომუნიკაცია“ - სამი ლექტორის ნაცვლად წაიკითხავს მხოლოდ ასოცირებული პროფესორი ხათუნა კაჭარავა.

2. **საგნების ამოღება:** „მედიაეკონომიკა“, „განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხების გაშუქება“. „მედიასისტემები და თეორიები“
3. **სემესტრული ცვლილება:** „მასკომუნიკაციის თეორიები და კონცეფციები“ - პირველი სემესტრი;
   „ინტერნეტმედია“ მესამე სემესტრი;
   „გაზეთის წარმოება“ და „რადიოგადაცემების მომზადება“ - მეორეე სემესტრი;
   „ტელეგადაცემის მომზადება“ - მესამე სემესტრში;
   „მულტიმედია ჟურნალისტიკა“ - მესამე სემესტრი;
   „წერა ჟურნალისთვის“ - მესამე სემესტრი;
4. **სტატუსის შეცვლა:** „წერა ჟურნალისთვის“ - სავალდებულოს ნაცვლად გახდა არჩევითი. „Web.2.0. და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ჟურნალისტებისათვის“ - სავალდებულოს ნაცვლად გახდა არჩევითი.

5. **ახალი კურსების დამატება:** „ მედიასტანდარტები და თვითრეგულირება“ - სავალდებულო, წაიკითხავს ასოცირებული პროფესორი ნათიოა კუპრაშვილი.

   „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“ - არჩევითი, ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე.

   „მასკომუნიკაციის თეორიები და კონცეფციები“ - სავალდებულო, ლექტორი ელდარ იბერი.

საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“(დადგენილება 264# 2012.26.07, დანართი)

1. **საგნების ამოღება:** „საერთაშორისო ურთიერთობის იდეოლოგიები“, „ვიშეგრადის ქვეყნების ევროპეიზაცია“ და „საერთაშორისო მშვიდობა და ომი“.
2. **ლექტორის ცვლილება და სილაბუსის განახლება:** „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები“ - ანი კვირიკაშვილის ნაცვლად წაიკითხავსმოწვეული ლექტორი ნიკო ქელბაქიანი.
   „ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა“ - ს. კაპანაძის ნაცვლად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი თათია დოლიძე.

სამაგისტრო პროგრამა „სოციოლოგია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 60)

1. **კურსის სახელწოდების, ლექტორის ცვლილების და ახალი სილაბუსის შექმნა:** „თვისებრივი კვლევის მეთოდების“ ნაცვლად დაემატა სავალდებულო საგნები „თვისებრივი კვლევის მეთოდები 1“ (15/15) და „თვისებრივი კვლევის მეთოდები 2“ (15/15).- მოწვეული ლექტორის ნატა გაბინაშვილის ნაცვლად წაიკითხავს ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე. გადანაწილდება ორ სემესტრში.
2. **ახალი კურსების დამატება:** „პოსტკოლონიური და დეკოლონიური თეორიები“ - ლექტორი მაია ბარქაია, გენდერის კვლევების დოქტორანტი.
   „STATA-ს გამოყენება მონაცემთა ანალიზში“ - ლექტორი ალექსანდრე ცაგარელი.

3. **სემესტრული ცვლილება:** „რაოდენობრივი სოციალური კვლევის მეთოდები“ - შემოდგომის სემესტრის ნაცვლად გადადის გაზაფხულის სემესტრში - ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე.

სამაგისტრო პროგრამაში ,,პოლიტიკის მეცნიერება“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 63)

1. **საგნის სათაურის ცვლილება:** „კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები“ ნაცვლად საგანს დაერქვა „კონფლიქტები კავკასიასა და ბალკანეთში და მათი მოგვარების გზები“ - ლექტორი ასოცირებული პროფესორი ჯაბა ურუტაძე.

სამაგისტრო პროგრამა „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ (დადგენილება # 42/2014, დანართი 219)

1. სასწავლო კურსის სათაურის ცვლილება: „რეგიონის მოსახლეობის გეოგრაფიის“ ნაცვლად ეწოდა „მსოფლიო მოსახლეობის გეოგრაფია“.

სამაგისტრო პროგრამაში ,,მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები“ (დადგენილება2011 №57, დანართი 45)

1. **საგნების დამატება:** „მედია ფსიქოლოგიის თეორიები და ტექნოლოგიები“ - ლექტორები პროფესორი მარიამ გერსამია და პროფესორი სონია უტცი, მოწვეული ლექტორი (გერმანია, ლეიპციგი), არჩევითი, (15/15) და „სოციალური მედიის ეფექტები“ - პროფესორი სონია უტცი, მოწვეული ლექტორი სავალდებულო (15/15).

სამაგისტრო პროგრამაში ,,გენდერის კვლევა“, ქართულენოვანი (დადგენილება2011 №57, დანართი 43)

1. **პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება:** პროგრამის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე ნაცვლად თამარ საბედაშვილისა

ახალი სამაგისტრო პროგრამის დამტკიცება:

1. **„მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“** - ხელმძღვანელი პროფესორი მარიამ გერსამია.

რეაკრედიტაციაზე წარდგენილი სამაგისტრო პროგრამა:

1. **„ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“** - თსუ მხრიდან ხელმძღვანელები: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი და პროფესორი მარინა მუსხელიშვილი

სადოქტორო პროგრამაში ცვლილება:

სადოქტორო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“(დადგენილება N38/2012, დანართი 199)

ლექტორის და საათების განაწილების ცვლილება:

1. „კვლევის დიზაინი - კვლევითი კითხვების შერჩევა და დასმა, მეთოდოლოგიის შერჩევა და კვლევითი პროექტის წერა“ - ს.კაპანაძის ნაცვლად წაიკითხავს ასოცირებული პროფესორი სოფიო პეტრიაშვილი (15/15 ნაცვლად 15/30, არჩევითი).

პატივისცემით,

რევაზ ჯორბენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 03 დეკემბრის სხდომის ოქმით №8 დამტკიცებული სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,დ" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52- ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 03 დეკემბრის სხდომის ოქმით №8 დამტკიცებული სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში:

1. დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფაკულტეტის საბჭო:
ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) მონაწილეობს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების შემუშავებასა და აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენის პროცედურაში;

ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ზ) ქმნის სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს;

თ) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესს საქართველოს

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;

ი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განსაზღვრავს სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვალს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ფარგლებში;

კ) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის;

ლ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

მ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში თავისი შემადგენლობიდან ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

ნ) ქმნის კომისიას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური უმაღლესი განათლების ცალკეული საფეხურის - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა დასრულების შემდეგ პირისათვის შესაბამისი აკადემიურ ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე დადგენილი წესის თანახმად.

ო) ამტკიცებს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის დებულებას;

პ) ქმნის კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიას;

ჟ) განსაზღვრავს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის კრიტერიუმებსა და წესს;

რ) ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ს) ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის სათაურს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით;

ტ) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომის სათაურის ცვლილებების შესახებ;

უ) სადისერტაციო მასალების წარდგენის შემდგომ ფაკულტეტის საბჭო მსვლელობას აძლევს საქმისწარმოებას ერთი თვის ვადაში;

ფ) სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით გამოყოფს არანაკლებ სამ რეცენზენტს, მათ შორის ერთ უცხოელს რეცენზენტს. ერთ–ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ამტკიცებს ახალ რეცენზენტს;

ქ) ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღს;

ღ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.".

2. დებულების მე-15 მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ:
ა) მულტიმედია ცენტრი;
ბ) გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორია;
გ) ვიზუალური დოკუმენტალისტიკის კვლევის ლაბორატორია;
დ) ტელე - რადიო ლაბორატორია.

2. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ:
ა) საქართველოს სამეზობლოს კვლევების ინსტიტუტი;
ბ) კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი;
გ) გენდერის კვლევის ინსტიტუტი.

3. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მიზნები და წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.".

3. დებულების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, კანცელარია, რესურსების მართვის სამსახური.".

4. დებულების 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მიმართულების ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.".

5. დებულების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
წინამდებარე დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ძალაში შევიდეს უნივერსიტეტის

აკადემიური და წარმამოდგენლობითი საბჭოების მიერ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის N30/2014 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის N186/2018, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის“ გაუქმებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის N61/2018 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ “ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის N188/2018 დადგენილებების ძალაში შესვლის დღიდან.

6. დებულების 36-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე მე-3 პუნქტი:

„3. წინამდებარე დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის N122/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან.“